

Manana Kvataia

მანანა კვატაია

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Emigrant Markers of Historical Space – Text and Context

ისტორიული სივრცის ემიგრანტული მარკერები – ტექსტი და კონტექსტი

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10934>

In their works, Georgian émigré prose writers offered an reflection of the historical events of the 1920s and 1930s. They critically assessed the significance of the 1924 uprising, exposed the aspects of Soviet reality. In this regard, the well-known texts of Grigol Robakidze, the writings of Nikolo Mitsishvili, such a - as well as the literary and prose of Stephane Kasradze, and the novel by Indo Inasari etc. This expressive power is strikingly evident in the outstanding works of twentieth-century Georgian émigré literature. These works often challenge and transform the official narratives of "institutional memory," providing future generations with a deeper, more critical understanding of historical events.

Key words: Historical events, émigré literature, Text and Context

საკვანძო სიტყვები: ისტორიული რეალობა, ემიგრანტული მწერლობა, ტექსტი და კონტექსტი

ემიგრანტი ავტორების ლიტერატურული მემკვიდრეობა მეოცე საუკუნის ისტორიული მოვლენების ჭეშმარიტი სურათის აღდგენისა და მათი შეფასების საუკეთესო წყარო გახლავთ. 1920-1930-იანი წლებში უცხოეთში შექმნილმა მემუარულმა, პუბლიცისტურმა, პროზაულმა, პოეტურმა თხზულებებმა განსხვავებული რაკურსით ასახა საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ეტაპები: ქვეყნის იძულებითი გასაბჭოება, 1924 წლის აჯანყების პერიპეტეიები, აჩვენა საბჭოური სინამდვილის მანკიერი მხარეები, ევროპულ-ამერიკული რეალობის ასპექტები და ა.შ.

ნაშრომში „*ზემოქმედების ისტორია და გამოყენება*“ ჰანს გეორგ გადამერი აღნიშნავს, რომ კვლევისას ჩვენი ინტერესი არამარტო ისტორიულ მოვლენასა და კონკრეტულ ნაწარმოებებს მიემართება, არამედ – მათ ზემოქმედებას ისტორიაში (გადამერი, 2015, გვ. 100). თეორეტიკოსის აზრით, საგანთა არსზე ორიენტირებულმა ჰერმენევტიკამ გაგების პროცესში ისტორიის რეალობა უნდა წარმოაჩინოს. ამას გადამერი ზემოქმედების ისტორიას (*Wirkungsgeschichte*) უწოდებს, რომლის მიხედვით, გაგება ზემოქმედების ისტორიით განპირობებული პროცესია და, როდესაც ისტორიული დისტან-ციიდან რომელიმე მოვლენის გაგებას ვცდილობთ, ზემოქმედების ისტორიის გავლენასაც ვეჭვმდებარებით.

შესაბამისად, ისტორიული პროცესების არსის საფუძვლიანი წვდომისა და ინტერპრეტირებისათვის მხატვრულ ქმნილებებთან ერთად გამორჩეულად ღირებულია კონკრეტული პირობის ავტობიოგრაფიები, მემუარული ტექსტები, მოგონებები – იგივე დოკუმენტური პროზა, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით წარმოაჩენს ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს (ნიშნიანიძე, 2000, გვ. 189).

თავის მხრივ, დოკუმენტური პროზა განისაზღვრება, როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ჟანრი, რომელიც სიუჟეტს რეალურ მოვლენებზე აგებს, მხატვრული გამონაგონის სემანტიკის ჩართვით. ის მოვლენათა დინამიკას აჩვენებს, ობიექტურად ასახავს სინამდვილეს, წარმოადგენს ეპოქის ცოცხალ სურათებს, ისტორიული პიროვნებების პორტრეტებს და ა.შ. დოკუმენტურ ნარატივში ფართოდ გამოიყენება პუბლიცისტური სტილი.

მეოცე საუკუნის შემოქმედთათვის ემიგრაცია აზროვნების თავისუფლების ალტერნატიული სივრცე გახდა. შესაბამისად, მათი თხზულებები ისტორიულ მოვლენათა შეფასებისათვის დოკუმენტურობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით გამორჩეული მნიშვნელობის გახლავთ. 1920-1930-იანი წლების ქართული ემიგრანტული პროზაული ტექსტების დიდი ნაწილი ბიოგრაფიულ-მემუარული ხასიათისაა. „*მოგონებების, გახსენების ნაკადი ორი პარალელური ხაზით ვითარდება: ერთი მხრივ, ესაა მოგონებები, დაკავშირებული მშობლიურ სახლსა და ახლობლებთან, ხოლო, მეორე მხრივ – საბჭოთა ყოფის ამსახველი მეხსიერებითი არსენალი*“ (ჩიტაური... 2016, გვ. 116). უცხოეთს თავშეფარებული ქართველი მწერლები თუ პოლიტიკოსები თავიანთ ტექსტებში ცდილობენ, გაანალიზონ და საღი გონებით შეაფასონ, თუ რეალურად რა მოხდა იმდროინდელ საქართველოში. ჩვენს ნაშრომში ზოგიერთ გამორჩეულად საგულისხმო ტექსტზე შევჩერდებით.

1932 წელს პარიზში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, გაზეთ „*საქართველოს გუშაგის*“ (1) ფურცლებზე გამოქვეყნდა სპირიდონ კედიას წერილი „*თებერვალი, 1921 (ფიქრები და მოგონებები)*“, სადაც ავტორი საკუთარი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გადასახედიდან კრიტიკულად აფასებს 1920-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებს. მისი გაგებით, „*ჟორდანია და მისი შტაბი ატარებდა, იცავდა და ასრულებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნებას და მიზანს... ყველა ფრონტზე და ყველა საშუალებით ეს ხალხი ებრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობას*“ (შარაძე, 2004, გვ. 515). სპირიდონ კედიას მოგონებებში იკვეთება 1921 წლის თებერვლის მოვლენების ნაკლებად ცნობილი დეტალები, განვითარებული პროცესების დინამიკა. ერთგან ავტორი წერს: „*უკვე თერთმეტი თებერვალია. საქართველოში მტერი შემოიჭრა... მტერი რომ პირდაპირ წამოვიდეს, თბილისს ისე დაიჭერს, რომ თოფის გასროლა არ დასჭირდება*“ (შარაძე, 2004, გვ. 518).

მისივე ცნობით, 16 თებერვალს გენერალ ოდიშელიძის ადგილას გენერალი კვინიტაძე დაინიშნა, რომელსაც, მისი თქმით, „*სამხედრო ოპერაციები ყოველთვის ქართველი ერის გამარჯვებით დაუგვირგვინებია*“. ამ ამბავმა ხალხს იმედის ნაპერწკალი გაუჩინა: „*დიდსა და პატარას სასწაული უნდა. თბილისი და მთელი საქართველო მწარე განცდებშია ჩაძირული... ვუცდით მოვლენა განვითარებას... ქვეყნის უბედურებას ყველა თავისთვის განიცდის*“. როგორც ირკვევა, ქართველების ეროვნული ერთუზიანობა ნოე ჟორდანიას შემონათვალმა გაანელა: „*მთავრობა ამდამ თბილისს სტოვებს და, ვისაც წამოსვლა უნდა, დილის ორი საათისათვის სადგურზე გამოვიდესო*“. ამ შემადრწუნებელ გზავნილს კედია წლების შემდეგაც მთელი არსებით განიცდის: „*ეს ხომ საქართველოს თავისუფლების მიტოვებაა, მისი დამოუკიდებლობის სრული ლიკვიდაცია!*“, – წერს იგი.

ამავე მოგონებებში ასახულია გენერალ მაზნიაშვილისა და ქართველი იუნკრების უთანასწორო, თავგანწირული ბრძოლა წითელ ჯართან. საბოლოოდ, 23 თებერვალს, ღამის 11 საათზე გავრცელდა „*თბილისიდან ჯარის დახვეის ზარდამცემი ამბავი*“. ავტორის შეფასებით, ამით „*სიცოცხლის მარღვი გადაუჭრეს მთელ საქართველოს*“... კედია სინანულით შენიშნავს: „*თბილისი კიდევ ერთხელ აოხრდა. მეორე დღეს, დილის ოთხ საათზე, თბილისში უკვე აღარც ჯარი იყო, არც მთავრობა და არც დამფუძნებელი კრება... გამოგვყვა მხოლოდ რამოდენიმე დღის სახელოვანი ბრძოლა, რომელმაც საქართველოს სამუდამო სირცხვილი ააშორა!*“ (შარაძე, 5, 2000, გვ. 524)

1920-1930-იანი წლების მემუარული ტექსტებიდან ზემოქმედების ისტორიის გააზრების თვალსაზრისით გამორჩეულად ექსპრესიული გახლავთ პარიზში 1936 წელს გამოცემული წიგნი „*მოგონებები. წ. 1, საქართველო აჯანყებამდე (1921-1924)*“, რომლის ავტორია ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ვლასა მგელაძე. „*ამ ჩემს მწარე მოგონებებს ვუძღვნი 1924 წლის აჯანყებაში დაღუპულთა ხსოვნას*“, – წერს ავტორი.

უნიკალური დოკუმენტური ტექსტის დასაწყისში ვლასა მგელაძე ემოციურად იხსენებს, რომ 1921 წლის თებერვალში „სამშობლოს თავზე ზეცა რისხვით დატრიალდა“ (მგელაძე, 1936, გვ.5). ავტორი ტკივილით აღწერს კოჯორ-ტაბახმელის გააფთრებულ ბრძოლებს, ქართველთა დამარცხების გამო მგლოვიარე დედაქალაქს. თხოულების ერთ თავს „თფილისის გამარცვა“ ჰქვია, სადაც ვკითხულობთ: „რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სახელმწიფო დაწესებულებებში დაბანაკდა, კერძო ბინებსა და ოჯახებში მოთავსდა. მრავალ საუკუნოებით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე და ზნეობა შეირყვნა“ (მგელაძე, 1936, გვ. 8). იმავე ტექსტის მიხედვით, მომხდურმა ჯარისკაცებმა საწყობებიდან ფარაჯები, ფეხსაცმელები გამოიტანეს და თავადვე ჩაიცვეს, აფთიაქები დააცარიელეს, ქალაქიდან გაზიდეს სამხედრო არსენალი, სახარატო დაზგები, საგანგებო მატარებლები, ვაგონები. გაიმარცვა სტამბები, გაიტანეს სურსათ-სანოვაგე, სასმელები, ყუთებით ვაგონებში ჩააწყვეს და მოსკოვში გააგზავნეს წარწერით: „თფილისის პროლეტარიატისაგან რუსეთის პროლეტარიატს და მის ბელადს ლენინს საჩუქრათ“.

მემუარული ტექსტის მიხედვით, დაპყრობილი დედაქალაქის მოსახლეობა სურსათისა და ნავთის რიგში იდგა, ღირსეული ინტელიგენცია დღედაღამ მუზეუმ-წიგნთსაცავებსა და უნივერსიტეტს იცავდა, სამღვდელოება მარგალიტებში ჩასმულ ხატებს ყარაულობდა, ქვეყნის მართვის პრეტენზიის მქონე მრავალი პარტია და ჯგუფი კი შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა.

გამორჩეულად ექსპრესიულია ვლასა მგელაძის მოგონებების ის ნაწილი, სადაც აღწერილია ბოლშევიკური ანექსიის შემდეგ იოსებ სტალინის პირველი ვიზიტი თბილისში, რომელიც ნამალადევში, პლენანოვის სახელობის მუშათა სასახლეში შედგა. სტალინთან შეხვედრას „რევოლუციონური მუშათა კლასი“ სრული შემადგენლობით დასწრებია. ვლასა მგელაძე ამგვარად აღადგენს პროლეტარიატის ერთ-ერთი წინამძღოლის სტუმრობის სურათს: „ნელის ნაბიჯით, მელურის შეპარვით სცენაზე სტალინი, თფილისის მუშების კარგა ნაცნობი სოსო ჯულაშვილი – „კობა“ შემოიპარა, ფარდებიდან გამოძვრა... მთელი დარბაზი სამარისებური სიჩუმით, კრიჭა შეკრული, ზიზლით შეხვდა... მოხუცი დედები გაიბახოდნენ: „წყეული, შეჩვენებული, მელაკულა!“ (მგელაძე, 1936, გვ. 21).

მგელაძე სტალინისადმი თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას არ მალავს. მისი დაკვირვებით, ის „აქ არ გავს მაღალი საკაცობრიო იდეალით გატაცებულ მებრძოლს, გაშლილი სახით, გაბრწყინებულ თვალებით რომ გამოიყურება... სოსო ნამალადევით ილიმება, გაუბედავით ლაპარაკობს, მობოდიშებული კილო აქვს, ნახევრათ თვალდახუჭული, შეფარვით, თფილისის რევოლუციონურ მუშებს ათვალთვლებს... აქ მას ყველა იცნობს, მათ ოჯახებში იმალებოდა... დღეს კი თავისუფლება მოუსპო, სიცოცხლე გაუმწარა, ხვალ კიდევ უარესს მოელოს“ (მგელაძე, 1936, გვ. 21).

ავტორი დეტალურად აღწერს ამ შეხვედრაზე სოსო ჯულაშვილისა და საქართველოს მუშების დაპირისპირების სცენას: სტუმარი ცდილობს, შეურაცხყოფა არ შეიმჩნიოს, „თავს იკატუნებს. ის გაბედული რაინდი არ არის. მოთმინება იცის, შურის საძიებლათ სხვა დროს უცდის“ (მგელაძე, 1936, გვ. 22). სტალინს უპირისპირდება ჭადარა რევოლუციონერი ისიდორე რამიშვილი, რომელსაც დარბაზში შეკრებილი მუშები ოვაციით ხვდებიან. „სტალინი მოკუნტული შეყურებდა, ტუჩებს იკვნეტდა, ნამალადევი, იუდასებური ღიმილით შეყურებდა სახეგაბრწყინებულ ისიდორე რამიშვილს“, – იხსენებს ვლასა მგელაძე. ამავე შეკრებაზე სიტყვით გამოსულა ალექსანდრე დგებუაძე, რომელსაც სტალინისათვის პირდაპირ უკითხავს: „რატომ დაანგრე საქართველო? სამაგიეროდ რა მოუტანე მას?“ ვლასა მგელაძის მოგონებით, სტუმარს მუშებმა „ბევრი მწარე გულმოსაკლავი კითხვები დაუსვეს, პირში ენა ჩაუგდო სტალინს“. ბოლოს „სტალინი ჩეკისტებმა გააპარეს“.

ვლასა მგელაძის ინფორმაციით, მომხდარი დაპირისპირების გამო შურისძიების სურვილით შეპყრობილ სტალინს მეორე დღეს ხელქვეითებისათვის განუცხადებია: „თფილისის ოქტომბრის რევოლუციის უთო უნდა გადაეტაროსო“, რასაც შედეგად მუშათა მასობრივი დაპატიმრება მოჰყოლია: „პოლიტიკური მოღვაწეებით მეტები და საგუბერნიო ციხე აავსეს... ერის სამსახურში მყოფ ხალხს ჯაშუშები მიუჩინეს“ (მგელაძე, 1936, გვ. 23). წიგნში აღწერილია ჩეკას ციხეებსა და სარდაფებში არსებული უმძიმესი მდგომარეობა: „ცუდი კვებისაგან ტუსალები ავით ხდებოდნენ, გადამ-

დები სენი ტყვეებს მუსრს ავლებდა, ტიფით ავთამყოფებს მოუვლელივით, უწამლობით სული ხდებოდათ“ (მგელაძე, 1936, გვ. 23). ღამდამობით ჩეკას სარდაფებიდან, ციხეებიდან ტუსადები გაჰყავდათ: „ხელებ გაკრულეებს საბარგო ავტომობილებში ყრიდნენ, ცხენოსანი რაზმით ალყაშემორტყმულეებს ორთაჭალისა და საბურთალოს მინდვრებზე ხოცავდნენ. ცოცხალ-მკვდარ დაჭრილებს ერთად მარხავდნენ“ (მგელაძე, 1936, გვ. 24).

წიგნში აღწერილია შემზარავი ფაქტები, ცალკეულ პიროვნებათა სულისშემძვრელი ტრაგიკული ისტორიები. ვლასა მგელაძე იმასაც იხსენებს, რომ ამ აუტანელ ვითარებაში ქართლ-კახეთის მოსახლეობა თბილისელებს პურით და საკლავით ეხმარებოდა, მაშინ, როდესაც საქართველოს ყველა კუთხეს მტრის ჯარი მარცვავდა და აწიოკებდა. წიგნში მოტანილია უმძიმესი კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ ამოწყვიტეს ვალოდია გოგუაძის ნათესავები, როგორ აწამეს მწერალი ლავრენტი წულაძე და მთელი მისი ოჯახი გაანადგურეს, როგორ შეიპყრეს ისიდორე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, 80 წლის პედაგოგი დავით შარაშიძე, როგორ მოკლეს „სოჩის რესპუბლიკის“ ერთ-ერთი მეთაურთაგანი“ ავქსენტი გვათუა, მწერალი სტეფანე ახმეტელაშვილი, გადმოცემულია მრავალი სხვა ადამიანის შემადრწუნებელი ისტორია.

მოგონებების ავტორის თქმით, რომ „გურიის დასამორჩილებლად გაუშვეს არანორმალური, ნახევრად შეშლილი ბოროტი, ცნობილი ობოლაძე“, რომელიც 1922 წლის დეკემბერში თავისი რაზმით თავს დაესხა ფილიპე მანწკავას და გვარდიელი შვილის გაცემაზე უარის თქმის გამო მისი სახლი გადააწვევინა. მეორე ძმა, გიმნაზიელი ბიჭი, ყველას თვალწინ ცეცხლში შეაგდეს და ცოცხლად დაწვეს, ნოე ჟორდანიას დედას კი ლანჩხუთში სახლი ჩამოართვეს და შიგ სკოლა გახსნეს, ამაგდარ ქალს მხოლოდ ერთი პატარა ოთახი დაუტოვეს. წიგნში ასევე მოთხრობილია, თუ როგორ მოკლა ჯალათი ობოლაძე 1923 წელს სოფელ კვაჭალათში გოგია ღლონტმა, რასაც შედეგად მოჰყვა „გურიის შურისძიება და მთელ საქართველოში გაუგონარი ტერორი“. ერთი სადამსჯელო დანაყოფი მეორემ ჩაანაცვლა: „გაძლიერებული რაზმით თფილისიდან ცნობილი ტალახაძე მოიჭრა და საუკეთესო გურიის შვილები აწამა“. ილარიონ ტალახაძე 1922-1924 წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ მუშაობდა. მისი როლი 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში განსაკუთრებული იყო.

ვლასა მგელაძის მოგონებებში მოთხრობილია 1924 წლის 30 აგვისტოს შორაპნის შემზარავი, სისხლიანი ტრაგედიის დეტალები: შუალადის სამ საათზე როგორ გადმოიყვანეს ვაგონიდან დასახვრეტი ხალხი, ორმოს გასწვრივ დაამწყრივეს და იაპონური ტყვიამფრქვევებით ერთიანად ჩაცხრილეს. ამ ადამიანური სასაკლავოს შემყურე დანარჩენი შეპყრობილები ვაგონებიდან ვეღარ გადმოსულან და ისინი ჩეკისტებმა ვაგონებშივე ჩახოცეს (მგელაძის ცნობით, იმ ღამით 5 ვაგონში 96 კაცი იმყოფებოდა, ხოლო მთლიანობაში ამ დროს შორაპნის მაზრაში დახვრეტილების რაოდენობამ 171-ს მიაღწია).

წიგნში ავტორი გულისტკივილით მოგვითხრობს 1923 წლის 21 მაისის ღამით კოტე აბნახისა და მის თანამებრძოლთა დახვრეტის შესახებ, გულისტკივილით წერს მოწამეთის ტაძრის აოხრებაზე, ქუთაისის სობოროს დანგრევაზე, 1924 წლის გაზაფხულზე სვირის ეკლესიის ახლოს ქუთაისის მირტოპოლიტ ნაზარის შეპყრობაზე, ადამიანების მასობრივ დაკავებასა და ციმბირში გადასახლებაზე. მოკლედ, წიგნში გაანალიზებულია ის სასტიკი წინაპირობები, რამაც ქართველი ერი 1924 წლის აჯანყებამდე მიიყვანა.

1920-იანი წლების რეალობა თავის თხზულებაში მხატვრულ-დოკუმენტურად ასახა ქართული პროზის გამორჩეულმა წარმომადგენელმა სტეფანე კასრაძემ, რომლის ლიტერატურული დებიუტი 1926 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ მისი ავანგარდისტული პროზაული ტექსტი „გვართსამხილავი“ დაიბეჭდა. 1928 წლის ბოლოს თუ 1929 წლის დასაწყისში ახალგაზრდა შემოქმედი იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და აჭარიდან თურქეთში, აქედან კი საფრანგეთში გადასულიყო. 1964 წელს ჟურნალ „კავკასიონში“ ვიკტორ ნოზაძემ გამოაქვეყნა მისი მოთხრობა „ბაგადო“ (1941), რომელიც 1924-1926 წლის საქართველოს რეალობით არის შთაგონებული. 1920-იანი წლების ისტორიული მოვლენების მწერლისეული რეცეფცია წარმოდგენილია ემიგრაციაში შექმნილ ცნობილ რომანში „თარი-არალე“ (პარიზი, 1939).

ამ ტაბუირებულ ტექსტში სტეფანე კასრაძე ექსპრესიულად გადმოსცემს ბოლშევიკების შემოჭრას საქართველოში. რომანის გმირების – კოტესა და თომას – საუბრიდან ირკვევა, რომ თავს-მოხვეულ ძალადობას ქვეყანა სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა, არ არსებობდა სამხედრო გეგმა, რომელიც სახელმწიფოს უბედურებას ააცილებდა. სულისშემძვრელია „თარი-არალეს“ ის მონაკვეთი, სადაც ეკლესიის გუმბათიდან ჯვრის ჩამოგდების მომენტი აღწერილი (ჯვრის ადგილას წითელი დროშა უნდა აღეშარათ) „ჯვარი იყო დიდი და ფერად ყვითელი“ (კასრაძე, 1990 ბ.), – სევდიანად შენიშნავს ავტორი.

სტეფანე კასრაძის პირადი, მოქალაქეობრივი პოზიცია იკვეთება რომანის იმ მონაკვეთში, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ აღნიშნავენ უღმრთოდ დარჩენილი ადამიანები 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს: ახალი დროის „ხელოვანთ“ ქუჩაში გამოაქვთ პლაკატი წარწერით: „ახალგაზრდა კომკავშირი ააფეთქებს ღმერთს“.

მწერალი რეალისტურად ხატავს ქვეყნის ახალ მმართველთა უგვან სახეს: „ხელისუფლება იყო გაუპარსავი, საკინძმოგლეჯილი, მდაბიო და ყოველივეს, რასაც იგი აკეთებდა, მოქალაქენი უცქერდნენ უნდობლად“. „თარი-არალეს“ ფურცლებზე დაპყრობილი ქვეყნის სინამდვილის ამსახველი საგულისხმო დეტალი გვხვდება: „ყოველ შაბათს მთავრობას გამოჰყავდა ყოფილი მდიდრები... და მათ უნდა დაეგავათ ქუჩები“ (კასრაძე, ა, 1990, გვ. 48).

რომანში ავტორი დოკუმენტურად გადმოსცემს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ამბებს: ჩეკას სარდაფები სავსეა ტუსადებით. მემამოხეთა ერთ საზოგადოებას კოტე ფერეული მეთაურობს, თუმცა დამარცხების შემდეგ ის თავისი რაზმით ოსმალეთში გადადის, რათა უცხოეთში გადაიხვეწოს.

1920-იანი წლების საქართველოს ისტორიული რეალობა თავის მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტებში ასევე დიდი სიზუსტით, ემოციურად წარმოადგინა ნიკოლო მიწიშვილმა (ნიკოლოზ სირბილაძემ). 1923 წელს მწერალმა პარიზში დაწერა ვრცელი პროზაული თხზულება „თებერვალი“, სადაც ავტორი ტკივილით აღწერს დამარცხებული ქვეყნის ტრაგედიას: მასში ასახულია ბათუმიდან უცხოეთში მენშევიკური მთავრობის გაქცევა, ახალი რეჟიმის დამკვიდრება საქართველოში, ბრძოლები თბილისისა და ბათუმისათვის.

ნიკოლო მიწიშვილი ლაკონური, ზუსტი ფრაზებით აღწერს 1921 წლის მარტის ბათუმური გაზაფხულის დეტალებს, გარემოს თუ ადამიანთა განწყობილებებს: „ამ დღეს მარტი სტიროდა უაღრესად. ბათომი კი სავსე იყო. აივსო ბინები... ხალხი მირბოდა, გაურბოდა წითელ საშიშროებას“ (მიწიშვილი, 2010, გვ. 286-287). არსებული უმძიმესი მდგომარეობით შემფოთებული გმირი, მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სიმონი, სასოწარკვეთილი ფიქრობს: „გათავდა ყველაფერი, წახდა საქართველო. დავმარცხდი. დავმარცხდი. დავმარცხდი. რატომ ჩვენ? ჩვენ კი არა, ისინი დამარცხდნენ, ვინც გაექცა საქართველოს“ (მიწიშვილი, 2010, გვ. 345-346).

1920-იანი წლების ქართულ რეალობას ნიკოლო მიწიშვილის სხვა თხზულებებიც მიეძღვნა. 1922 წლის ნოემბერში სტამბოლში ყოფნისას მწერალმა დაწერა ცნობილი წერილი „ფიქრები საქართველოზე“, სადაც ავტორი პესიმისტურად აფასებს ქვეყნის იმდროინდელ კრიზისს, გმობს „პოლიტიკოსების“ ამბიციებს და უუნარობას: „დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია... ყოველი მეშჩანინი... სპეკულიანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით“ (მიწიშვილი, 2010, გვ. 418). მწერალი ფიქრობს, რომ შინაგან აქტივობას მოკლებული ქვეყანა შემოქმედებით ენერგიასაც ვერ ავლენს.

1928 წლით თარიღდება ნიკოლო მიწიშვილის „ეპოპეია. ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“, რომელიც ავტორმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაწერა. თხზულებაში ასახულია საფრანგეთს გამგზავრებული ემიგრანტების ცხოვრება სტამბულში, სადაც სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანები ევროპულ ვიზებს ელოდებიან. „ეპოპეიაში“ დოკუმენტურად არის გადმოცემული 1920-იანი წლების მოვლენები. ავტორი კრიტიკულად აფასებს საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის შედეგებს, თუმცა მისი მოსაზრებები ხშირად წინააღმდეგობრივია.

1920-1930-იანი წლების რეალობა მრავალმხრივ, ანალიტიკურად წარმოადგინა გრიგოლ რობაქიძემ თავის რომანებსა და ესეისტკაში. გერმანულენოვან ესეების კრებულში „დემონი და მითოსი“ (იენა, 1935) მწერალი ორიგინალურად გაიაზრებს მისი თანამედროვე მსოფლიოს გლობა-

ლურ, „ეტერნულ“, თუ მითოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემატიკას. მწერალი სიღრმისეულად აანალიზებს 1930-იანი წლების ადამიანური ყოფის სირთულეებს, იმდროინდელი დასავლური და აღმოსავლური სამყაროს მიმართების პარადიგმატიკას, მას იზიდავს ნეფერტიტის მარადიული იდუმალეობა, მრავალმხრივ, ესეისტურად იკვლევს სტალინის ამბივალენტურ ხატს, 1930-იანი წლების მსოფლიოს ცოცხალი ლეგენდის, გრეტა გარბოს ზმანებისებურ ენიგმას.

რომანში „ჩაკლულ სული“ (იენა, 1933) გრიგოლ რობაქიძეს, მისივე სიტყვებით, სურს „მხატვრულად წარმოაჩინოს ბოლშევიზმის ქვესენილურად გამხრწნელი ძალა მის ატმოსფერულ ზემოქმედებაში“. ერუდიტულმა მწერალმა არ მიიღო ბოლშევიზმი, რადგან, მისი თქმით, იგი „ხრწნის შინაგან ხალხს და ამყარებს ფსევდოკულტურას“. გერმანელი ფილოსოფოსის, ლეოპოლდ ციგლერის შეფასებით, რობაქიძის „ჩაკლული სული“ და „მცველნი გრალისა“ გახლავთ „პირველი პოლემიკა რევოლუციასთან“ – და ამ რომანებით „თანდათან შეიქმნა აპოთეოზი საქართველოსი“.

მოდერნისტულ რომანში „მცველნი გრალისა“ (იენა, 1937) გრიგოლ რობაქიძემ წმინდა გრალის სახე-სიმბოლო საქართველოს მარადიულობის ხატად გაიაზრა. მისი ახლებური ინტერპრეტაციით, „საქართველოს გული სამსხვერპლო თასია“. რომანში ასახულია 1920-იანი წლების უსასტიკესი რეპრესიების ხანა და ყველა პერსონაჟს კონკრეტული, ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ისტორიული პროტოტიპი ჰყავს. თავის ქმნილებაში რობაქიძემ შექმნა „ქართული გრალის“ მისტიკური ისტორია, რომლის თანახმად, საუკუნეთა განმავლობაში გრალის თასი არგვეთის ერისთავთა საგვარეულოს ებარა, ხოლო საქართველო გრალის სიმბოლური ექვივალენტია.

გრიგოლ რობაქიძის „მცველნი გრალისა“ ასახავს და აფასებს 1924 წლის აგვისტოს მოვლენებს. რომანის იმ თავში, რომლის სათაურია „სუნთქვა საფრთხისა“, მწერალი აჯანყებისათვის მზადებაზე მსჯელობს და თავის სათქმელს მთავარ გმირს, ლევან ორბელს ათქმევინებს, რომელიც ფიქრობს, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა დამარცხებისათვის არის განწირული, ის ერს თვითმოსპობამდე მიიყვანს, რადგან ამგვარი საპასუხისმგებლო ნაბიჯისათვის ხალხის შინაგანი სიმწიფეა საჭირო.

1924 წლის აგვისტოს ამბოხების ქრონოლოგია გადმოცემულია რომანის იმ თავში, რომელსაც ავტორმა „აჯანყება“ უწოდა. ნაწარმოებში აღწერილი ამბების ნამდვილობას იმდროინდელი პერიოდული პრესის ინფორმაციებიც ადასტურებს. რობაქიძე წერს, რომ აგვისტოს მოვლენების დროს დახვრეტილების რიცხვმა 6 ათასს მიაღწია. რომანის სხვა თავში, რომელსაც „უფსკრული“ ჰქვია, მწერალი ემოციურად რეფლექსირებს: „ამ საზარელ დღეებს სამურაის ნერვებიც კი ვერ გაუძლებდა. ეს ბრძოლა ჰკავდა ხარაკირს, რომელსაც გმირული თავგანშეწირვის საფუძველი გამოაცალეს“ (რობაქიძე, 2013, გვ. 396). რობაქიძის დასკვნით, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხი ქვეყნისათვის კიდევ უფრო მეტად დამანგრეველი აღმოჩნდა, ვიდრე 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენები.

1930-იანი წლების ქართული რეალობა განსხვავებული რაკურსით წარმოადგინა ინდო ინასარმა (ნიკოლოზ ინასარიძემ) რომანში „ჩრდილი ერთი სინამდვილის“. 1929 წელს ახალგაზრდა მწერალმა მეუღლესთან ერთად დატოვა საქართველო და პარიზში დასახლდა. აქ მან 1930-1932 წლებში გამოსცა ჟურნალი „ადამიანოსანი“ (ორი ნომერი), მოგვიანებით – გაზეთი „მუზარადი“. 1947 წელს ნიკოლოზ ინასარიძე სამშობლოში დაბრუნდა და ლიტერატურული საქმიანობა გააგრძელა. 1951 წელს ის ოჯახთან ერთად ყაზახეთში გადასახლეს.

1936 წელს პარიზში ქართულ ენაზე დაიბეჭდა ინდო ინასარის რომანი „ჩრდილი ერთი სინამდვილის“, რომელიც ფარდას ხდის კომუნისტური რეჟიმის სიმხეცეს და ანტიჰუმანურობას. მისი მთავარი პერსონაჟი, ჩეკას საგანგებო ჯარებში მაღალ თანამდებობაზე აღზევებული გუბადი, დაუნდობელი სისასტიკით ებრძვის ყველას, ვინც მას გზაზე გადაეღობება. მან საკუთარი მშობლების დახვრეტის ბრძანებაც კი გასცა. მისი საპირისპიროა იმავე რომანის გმირი, ოტარიდი, ძლიერი ნებისყოფის პიროვნება, კომუნისტურ რეჟიმს აქტიურად რომ ებრძვის. რომანში ასახულია 1930-იანი წლების სინამდვილე, დაპირისპირება თაობებს შორის, რეჟიმის მომხრე ახალგაზრდობის ზნეობრივი გადაგვარება, კონკრეტული ადამიანური ტრაგედიები და სხვ.

ნაწარმოების პარიზული გამოცემის წინასიტყვაში ნიკოლოზ ინასარიძე წერს, რომ მან, მეცხვარის შვილმა, საქართველო იმიტომ დატოვა, რომ „კომუნისტიკის საცდელ ნიადაგად“ გადაქცეული

ქვეყნის „*დარბეულ და აწიოკებულ ადამიანთა მწარე ტკივილებზე*“ ეწერა. მან რომანის მასალა საქართველოს იმდროინდელი ცხოვრებიდან შეარჩია, რადგან სურდა, „*სინამდვილე თუ იქ არის, აქ ჩრდილი მაინც გამოსულიყო*“ (ინდო ინასარი, 1936, გვ. 3). „*ჩრდილი ერთი სინამდვილის*“ სხვადასხვა ადამიანთა ტრაგედიას გადმოსცემს. შემადრწუნებელია მთავარი პერსონაჟი ქალისა და მისი ოჯახის განადგურების ისტორია. სისასტიკით გამორჩეული კომუნისტი ფუნქციონერი გუბადი ვერ იმორჩილებს ტბატანას და ქალის ახლობლებს მრავალ განსაცდელს მოუვლენს. მწერალი ხაზს უსვამს გუბადის მხეცურ ბუნებას, როდესაც წერს, რომ მას ადამიანური თანაგრძნობა არ ხელეწიფებოდა. მეტიც, ახალგაზრდა ქალის, ტბატანას უბედურების გამო „*გუბადს უნებურ სიხარულმა დაურბინა... მას სწორედ ის უნდოდა, რომ ტბატანა დიდ გაჭირვებაში ენახა*“ (ინდო ინასარი, 1936, გვ. 81), რათა ქალს მისთვის დახმარება ეთხოვა. თავის რომანში ინდო ინასარი აღწერს წითელ კატორღას, სადაც მთავარი პერსონაჟი, ოტარიდი ხვდება. ათასობით დაპატიმრებული ადამიანიდან სასტიკ ბანაკში თავისი ფეხით რამდენიმე ათეული თუ ბრუნდება.

ავთანდილ ნიკოლეიშვილის შეფასებით, „*ჩრდილი ერთი სინამდვილის*“ საბჭოთა იდეოლოგიისადმი უკომპრომისობით რობაქიძის „*ჩაკლულ სულს*“ ენათესავება და კომუნისტური რეჟიმის მანკიერებათა ერთ-ერთი პირველი მამხილებელი რომანია. ხარვეზების მიუხედავად, „*ის „უყოყმანოდ უნდა მივიჩნიოთ საბჭოური ყოფითი რეალობის ისტორიული სიმართლით ამსახველ მხატვრულ ქმნილებად*“ (ნიკოლეიშვილი, 2006, გვ. 435).

1920-1930-იანი წლების განსხვავებული მხატვრული რეცეფცია წარმოადგინეს ამერიკაში მოღვაწე მწერლებმა, ცოლ-ქმარმა გიორგი (ჯორჯ) და ჰელენ პაპაშვილებმა გახმაურებულ რომანში „*ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს*“ („*Anything Can Happen*“, 1938). მასში ავტორები გულწრფელად გვიამბობენ ემიგრანტების აშშ-ში დამკვიდრების სიძნელეებზე, 1930-იანი წლების ამერიკულ გარემოზე და სხვ. დაბრკოლებების მიუხედავად, გიორგი პაპაშვილი რწმუნდება, რომ „*ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც ყველაფერი შეიძლება, მოხდეს*“. თხზულება საყურადღებოა იმითაც, რომ უშუალოდ, ცოცხლად, ხატოვნად ასახავს 1930-იანი წლების ამერიკის ცხოვრებისეულ ასპექტებს, ამ ქვეყანაში გადახვეწილი ემიგრანტების მდგომარეობას, იმდროინდელ ეკონომიკური კრიზისს: „*ჯერ ფაბრიკა-ქარხნებს მოელო ბოლო, შემდეგ ზედიზედ მიიკეტა პატარა დუქნები... ყველგან მოჩანდა დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლები და სახელმწიფო დაწესებულებები... ქვეყანა ისე იცლებოდა ფულისაგან, როგორც დაჭრილი სისხლისაგან*“ (პაპაშვილი, გ., პაპაშვილი, ე., 1965, გვ. 64).

ლიტერატურის ბუნებაზე მსჯელობისას თეორეტიკოსები შენიშნავენ, რომ, მეცნიერების ენისაგან განსხვავებით, ლიტერატურის ენა ორაზროვნებით ხასიათდება, მაგრამ მას ის უპირატესობაც აქვს, რომ გააჩნია ექსპრესიული მხარე და შეუძლია, ემოციური ზეგავლენა მოახდინოს ჩვენზე, შეცვალოს ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი. ვფიქრობთ, მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის გამორჩეული ნიმუშები ამას შესანიშნავად ახერხებენ: საბჭოთა კონიუნქტურისაგან თავისუფალი ავტორების ტექსტები ხშირად რადიკალურად ცვლიან ოფიციალის მიერ დამკვიდრებულ „*ინსტიტუციური მეხსიერების*“ ნარატივს და ახალ თაობებს ისტორიული მოვლენების მართებულ ანალიზსა და რეცეფციაში ეხმარებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გადამერი, ჰანს გეორგ (2015), ზემოქმედების ისტორია და გამოყენება (გერმანულიდან თარგმნა ლ. ბრეგამემ), ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, თბილისი: GCLAPress. ISBN 978-9941-0-7785-2.
- ინდო ინასარი (ინასარიძე, ნიკოლოზ) (1936), ჩრდილი ერთი სინამდვილის, პარიზი.
- კასრაძე, ს. ა (1990), თარი-არალე, მნათობი, 5.
- კასრაძე, 1990, ბ. კასრაძე, ს. (1990), თარი-არალე, მნათობი, 7.
- მგელაძე, ვლასა (1936), მოგონებები, წ. 1, საქართველო აჯანყებამდე (1921-1924), პარიზი.
- მიწიშვილი, ნ. (2010), ჰაჯი-მურატის მოჭრილი თავი, თბილისი: „ინტელექტი“. ISBN 978-9941-420-15-3.
- ნიშნიანიძე, რ. (2000), XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ლიტერატურული წერილები), თბილისი, „ლომისი“. ISBN 99928-15-72-8.

- ნიკოლეიშვილი, ა. (2006), მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი.
- პაპაშვილი, გ., პაპაშვილი ე. (1965), ქვეყანა, სადაც შეიძლება, ყველაფერი მოხდეს (ინგლისურიდან თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა). თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.
- რობაქიძე, გ. (2013). 3 რომანი, თბილისი: „არტანუჯი“.
- შარაძე, გ. (2004), ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 5, თბილისი. UGC: 070 (479.22) (09)+325.2(=353.1).
- ჩიტაური, ნ., კარტოზია ა. და სხვ. (2016), ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა, თბილისი: „უნივერსალი“. ISBN 978-9941-22-780-6.

References:

- Chit'auri N., Kartozia, A., et ctr. (2016), Kartuli mts'erlobis interk'ult'uruli modeli da natsionaluri ident'obis p'roblema [The Intercultural Model of Georgian Writing and the Problem of National Identity], Tbilisi, "Universali". ISBN 978-9941-22-780-6.
- Gadameri, Hans Georg (2015). Zemokmedebis ist'oria da gamoq'eneba [History and Use of Influence (translated from German by L. Bregadze)], Literaturis teoriis krestomatia, Tbilisi: GCLAPress. ISBN 978-9941-0-7785-2.
- Indo Inasari (Inasaridze, Nik'oloz) (1936), Chrdili erti sinamdvilis [Shadow of One Reality], P'arisi.
- K'asradze, S. a (1990) [Tari-Arale], Mnatobi, 5.
- K'asradze, S. b (1990) [Tari-Arale], Mnatobi, 7.
- Mgeladze, Vlasi (1936). Mogonebebi, ts. 1, Sakartvelo ajanq'ebamde (1921-1924) [Memories, Vol. 1, Georgia Before the Uprising (1921-1924)], Parisi.
- Mits'ishvili, N. (2010), Haji-Murat'is moch'rili tavi [The Severed Head of Haji Murat], Tbilisi, "Intelekti". ISBN 978-9941-420-15-3.
- Nik'oleishvili, A. (2006). Meotse sauk'unis karuli emigrant'uli mts'erloba [Georgian Emigrant Writing of the Twentieth Century], Kutaisi.
- Nishnianidze, R. (2000), XX sauk'unis kartuli emigrant'uli lit'erat'uris ist'oriidan (lit'erat'uruli ts'erilebi) [From the History of Georgian Literature of the 20th Century (Literary Letters)], Tbilisi, "Lomisi". ISBN 99928-15-72-8.
- P'ap'ashvili, G., P'ap'ashvili, E. (1965), Kve'qana, sadats sheidzleba, qv'elaperi mokhdes (inglisuridan targdmna Anduq'apar Ch'eishvilma) [Anything Can Happen (translated by A. Cheishvili)], Tbilisi, "Literatura da khelovneba".
- Robakidze, Gr. (2013). 3 romani. [3 novels]. Tbilisi: „Art'anuji“.
- Sharadze, G. (2004), Kartuli emigrant'uli zhurnalst'ik'is ist'oria, t'. 5 [History of Georgian Emigrant Journalism, Vol. 5], Tbilisi. UGC: 070 (479.22) (09)+325.2(=353.1).